პროექტი

დადგენილება

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის შესახებ

,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ი“ ქვეპუნქტის, ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტისა და ,,ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების მოწესრიგების თაობაზე“ - საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 29 აგვისტოს №726 ბრძანებულების თანახმად ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთები, თანახმად დანართი 1-ისა (თან ერთვის).

მუხლი 2.

დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო-სამაშველო სამსახურის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთები, თანახმად დანართი 2-ისა (თან ერთვის).

მუხლი 3.

დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთები, თანახმად დანართი 3-ისა (თან ერთვის).

მუხლი 4.

ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოების საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 17 მარტის #18 დადგენილება.

მუხლი 5.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2014 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

პროექტის ავტორი: ზურაბ ჩანტლაძე

დანართი 1

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა
თანამდებობრივი სარგოს განაკვეთები

№	თანამდებობათა დასახელება	თანამდებობრივი სარგო
1	2	3
1	გამგებელი	2650
2	გამგებლის მოადგილე	1300
3	სამსახურის უფროსი	1000
4	გამგებლის თანაშემწე	790
5	განყოფილების უფროსი	810
6	სპეციალისტი	560
6	მდივან- რეფერენტი	560
7	მძღოლი	560

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო-სამაშველო სამსახურის საჯარო მოსამსახურეების თანამდებობრივი სარგოს განაკვეთები

№	თანამდებობათა დასახელება	თანამდებობრივი სარგო
1	2	3
1	სამსახურის უფროსი	1000
2	სამსახურის უფროსის მოადგილე	560

3	მთავარი სპეციალისტი (სახანძრო ზედამხედველობის ინსპექტორი)	500
4	მთავარი სპეციალისტი (მორიგე ცვლის უფროსი)	530
5	სპეციალისტი (მეხანძრე-მაშველი)	475
6	სპეციალისტი (მძღოლი)	475
7	სპეციალისტი (დისპეტჩერი)	300

N	თანამდებობათა დასახელება	თანამდებობრივი სარგო
1	2	3
1	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელი - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის რწმუნებული (რომლის დაქვემდებარებულ ტერიტორიულ ორგანოში მოსახლეობის რაოდენობა აღემატება 1000-ს)	900
2	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელი - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის რწმუნებული (რომლის დაქვემდებარებულ ტერიტორიულ ორგანოში მოსახლეობის რაოდენობა 1000-ზე ნაკლებია)	800
3	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს სპეციალისტი	350